განმარტებითი ბარათი
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე:

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

პროექტის მიღების მიზეზია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სხვადასხვა დროს ასამოქმედებელი რედაქციების გადაფარვის პრობლემა. კერძოდ, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 18 სექტემბრის N2660-Iს კანონით (გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის საკითხები) გათვალისწინებული 208-ე მუხლი (რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები), რომელიც ამოქმედდება 2015 წლის 1 იანვარიდან, გადაფარავს დღეს მოქმედ 208-ე მუხლის რედაქციას, რაც გამოიწვევს ისეთი სამართალდარღვევების სასამართლოს განსახილველი საქმეებიდან ამოღებას, როგორებიცაა:

- მშობლის ან მისი შემცვლელი პირის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა (მუხლი 172);
- ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა (მუხლი 172^6);
- სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევა (მუხლი 197^2).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი პროექტის დაჩქარებული წესით მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პროექტის ძირითადი მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში იმ შესაძლო ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც წარმოიშობა 2015 წლის 1 იანვრიდან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 18 სექტემბრის N2660-Iს კანონში შედის ცვლილება და მოცემული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 208-ე მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ, აღნიშნულ მუხლში (რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები)

დამატებით მიეთითება 172-ე, 172^6, 197^2 მუხლები, როგორც სასამართლოს განსახილველი სამართალდარღვევის საქმეები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოსათვის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტმა არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი თამაზ ავდალიანი